



საქართველოს პარლამენტი

## საქართველოს პარლამენტის წევრი



93/4-2/22 2 12012022

93/4-2/22  
12-01-2022

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს,

ბატონ მიხეილ ჩხენკელს,

ბატონო მიხეილ,


საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახით (ფორმით) და რა მოცულობით ისწავლება ადამიანის ძირითადი უფლებები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ასევე, გთხოვთ მოგვაწოდოთ (არსებობის შემთხვევაში) ის დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც განსაზღვრულია ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ სწავლების მოთხოვნები, მეთოდები და მანერსიათებლები.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი  
MINISTER OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA



MES 3 22 0000075598



27/01/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს,  
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

**ბატონო მიხეილ,**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2022 წლის 12 იანვრის N93/4-2/22 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N15643; 12.01.2022) პასუხად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გაცნობებთ, რომ მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ადამიანის უფლებები ისწავლება ზოგადი განათლების სამივე - დაწყებით, საბაზო და საშუალო - საფეხურზე. ადამიანის უფლებების შესახებ სწავლება ხორციელდება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების ფარგლებში. ისინი წარმოდგენილია შედეგების სახით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული მეთოდოლოგიის მიხედვით კი თითოეული შედეგი მუშავდება/აქტუალიზდება ყველა სავალდებულო თემაში.

დაწყებით საფეხურზე საგნის „მე და საზოგადოება“ (III-IV კლასები) სტანდარტში მოსწავლის მისაღწევი შედეგია ბავშვის უფლებებისა და მოვალეობების გაცნობიერება, ასევე ოჯახისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გააზრება. "მე და საზოგადოებაში" ექვსი თემაა და ყველა თემაში გარკვეული დრო ეთმობა ადამიანის უფლებებს, ამ შემთხვევაში, ბავშვის უფლებებს.

საგანი „ჩვენი საქართველო“ (V-VI კლასები) სტანდარტში მოსწავლის მისაღწევი შედეგია მისი, როგორც ბავშვის, გარკვეული უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერება, დადგენილი წესებისა და კანონების საფუძველზე თავისი უფლებების რეალიზება და სხვისი უფლებების დაცვა. "ჩვენი საქართველოს" ფარგლებში ორი წლის მანძილზე 13 სავალდებულო თემა ისწავლება და საგნის სტანდარტის შედეგი ცამეტივე თემაში მუშავდება.

საბაზო საფეხურზე (VII-IX კლასები) ისწავლება საგანი „მოქალაქეობა“. მის სტანდარტში მოსწავლის მისაღწევი შედეგია საკუთარი და სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობების გაცნობიერება და დაცვა, აღნიშნული საგნის სტანდარტის სამიზნე ცნებაა დემოკრატია, დემო

კრატიის პრინციპები, ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები და საფეხურებრივი შედეგი თავის სამიზნე ცნებასთან ერთად სამი წლის განმავლობაში მუშავდება სხვადასხვა თემაში.

მოქალაქეობის სწავლება გრძელდება საშუალო საფეხურზეც (X-XII კლასები). საგნის სტანდარტში მოსწავლის მისაღწევი შედეგია გადაწყვეტილებების მიღებისა და შესაბამისი ქმედებისას უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტების, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ბავშვის უფლებების კონვენციის, გათვალისწინება და შედეგი ყველა სასწავლო თემაში მუშავდება.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით არის აგებული დაწყებით და საბაზო საფეხურებზე შესაბამისი საგნების სახელმძღვანელოები.

**დანართი: "03" ელექტრონული ფაილი**

**პატივისცემით,**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი

